

შპს გალანტი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს გალანტი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	გვ.3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	გვ.4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	გვ.5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	გვ.6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -	გვ.7-24

შპს გალანტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	681,976	297,888
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	1,231,559	2,197,568
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	1,182
სხვა აქტივები	5	2,133,390	2,159,966
სულ მიმდინარე აქტივები		4,046,925	4,656,604
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	59	181
არამატერიალური აქტივები	7	378	612
სულ გრძელვადიანი აქტივები		437	793
სულ აქტივები		4,047,362	4,657,397
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	223,603	535,659
საგადასახადო ვალდებულება		22,221	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		245,824	535,659
სულ ვალდებულებები		245,824	535,659
კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		300	300
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,801,238	4,121,438
სულ საკუთარი კაპიტალი		3,801,538	4,121,738
სულ კაპიტალი		3,801,538	4,121,738
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,047,362	4,657,397

დირექტორი: ნიზამ მამედოვი

შპს გალანტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	681,976	297,888
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	1,231,559	2,197,568
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	1,182
სხვა აქტივები	5	2,133,390	2,159,966
სულ მიმდინარე აქტივები		4,046,925	4,656,604
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	59	181
არამატერიალური აქტივები	7	378	612
სულ გრძელვადიანი აქტივები		437	793
სულ აქტივები		4,047,362	4,657,397
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	223,603	535,659
საგადასახადო ვალდებულება		22,221	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		245,824	535,659
სულ ვალდებულებები		245,824	535,659
კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		300	300
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,801,238	4,121,438
სულ საკუთარი კაპიტალი		3,801,538	4,121,738
სულ კაპიტალი		3,801,538	4,121,738
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,047,362	4,657,397

დირექტორი: ნიზამ მამედოვი




შპს გალანტი

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	9	5,829,652	6,502,389
თვითღირებულება	10	(4,550,619)	(5,320,579)
საერთო მოგება		1,279,033	1,181,810
სხვა შემოსავლები		3,675	2,966
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(132,020)	(134,255)
საოპერაციო მოგება		1,150,689	1,050,521
ფინანსური შემოსავალი	12	67,183	81,371
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(206,072)	397,485
მოგება დაბეგვრამდე		1,011,800	1,529,377
მოგების გადასახადი	13	(199,800)	(265,026)
წმინდა მოგება		812,000	1,264,351
მთლიანი სრული შემოსავალი		812,000	1,264,351

შპს გალანტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	300	4,121,438	4,121,738
წმინდა მოგება		812,000	812,000
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის სრული შემოსავალი		812,000	812,000
გაცემული დივიდენდი		1,132,200	1,132,200
სხვა სრული გასავალი		-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	300	3,801,238	3,801,538

შპს "გალანტი"

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

(ლარში)	შენიშვნა	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,878,927	1,111,329
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(1,232,566)	(1,635,334)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		646,361	(524,005)
სავალუტო კურსის ეფექტი		(262,273)	444,564
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	3	297,888	377,329
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	3	681,976	297,888

შპს გალანტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს გალანტი (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2006 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202362978. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გ. #77ა, ფაქტიური მისამართი თბილისი, ქვიშხეთის ქ. # 8. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2007 წლის 1-ელი თებერვლიდან. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კოსმეტიკური ნაწარმისა და პარფიუმერიის იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე.

კომპანია ახდენს მრავალ დასახელების და ასორტიმენტის საქონლის იმპორტს, როგორცაა:

- ❖ სახის, სხეულის და ფრჩხილების მოვლის კოსმეტიკური საშუალებები;
- ❖ თმის საღებავები და მისი მოვლის საშუალებები;
- ❖ პარფიუმერული სუნამოები და ლოსიონები;
- ❖ სახის, თვალის და წარბის მაკიაჟის მრავალფეროვანი ასორტიმენტი;
- ❖ ჰიგიენური საშუალებები და სხვა.

შპს გალანტის დამფუძნებელი, 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი, არის ნიზამ მამედოვი, ს.ნ. 01023001258.

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რეზიდენტ ფინანსურ ინსტიტუტებში: სს საქართველოს ბანკი 204378869; სს პროკრედიტ ბანკი 204851197.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 300 ლარს.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 4 ადამიანი.

კომპანია წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტს, არ წარმოადგენს ჯგუფის წევრს, რაც იმას ნიშნავს, რომ, არ არის მშობელი საწარმო და არ არის შვილობილი საწარმო.

კომპანია, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკმაყოფილებს მესამე კატეგორიის საწარმოს მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, დაწყებული პირველად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების პერიოდიდან დასრულებული მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადება, წარდგენა, შეფასება და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფას სტანდარტები) შესაბამისად, წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური, შეფასებისა და წარდგენის ვალუტა.

კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვა წარმოებს დარიცხვის მეთოდით, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კონსერვატიული საფუძვლებით მოცემულ განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

დაცულია ფინანსური ანგარიშგების კონსერვატიუმი და ძირითადი პრინციპები:

- ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები;
- მიზანშეწონილი დანახარჯები ან ძალისხმევა;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტები;
- საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ელემენტები.

აღიარების კრიტერიუმები: - მუხლების (ელემენტების) აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან გასვლა (ალბათობები ფასდება ინდივიდუალურად, მაგრამ თუ არსებობს ინდივიდუალურად უმნიშვნელო ელემენტების დიდი ჯგუფი, მაშინ ფასდება ერთობლივად);
და მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ (გონივრულად) შეფასდეს.
ურთიერთგადაფარვა: - ანგარიშგებაში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი აქტივები და ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები, არ ხდება მათი ურთიერთგადაფარვა, თუ ეს არ მოითხოვება/დაიშვება სტანდარტით;

წარდგენა

ფუნქციონირებადი საწარმო - კომპანია სრულად აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს; არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობები, რაც ეჭვს გააჩენს კომპანიის შესაძლებლობებზე, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

წარდგენის უცვლელობა - უცვლელი და შენარჩუნებულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა.

არსებითობა და აგრეირება - ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია განცალკევებით, არაარსებითი მუხლები დაჯგუფებულია მათი ფუნქციური ერთგვაროვნების მიხედვით; თუ ცალკე აღებული რომელიმე მუხლი არაარსებითია, მაშინ ის აგრეირდება სხვა მუხლებთან და აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, განმარტებით შენიშვნებში. მოვლენები და ოპერაციები წარდგენილია სრულად და არ ახლავს განუსაზღვრელობები; ანგარიშგებაში ასახულია სასარგებლო და აღქმადი ინფორმაცია, დაცულია ბალანსი სარგებლიანობასა და დანახარჯებს შორის.

კომპანია მსს ფას სტანდარტებზე პირველად გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენის პერიოდულობა ითვალისწინებს წარდგენას წელიწადში ერთხელ.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 1 იანვრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანგარიშგების სრული პაკეტი შეიცავს საანგარიშგებო პერიოდს, რომელიც წარმოდგენილია წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან ერთად:

- ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
- ✓ საქმიანობის შედეგების ანგარიშგება;
- ✓ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
- ✓ ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- ✓ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.

შეფასება

ფინანსური ანგარიშგების მუხლების შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია, ფინანსური ანგარიშგების მუხლების შეფასებისა და წარდგენისთვის იყენებს ქართულ ლარს, რომელიც არის საწარმოს ფუნქციონალური, შეფასებისა და წარდგენის ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების აღიარებისა და შეფასების საფუძველია პირვანდელი და რეალური ღირებულება.

ბალანსის შედგენის თარიღისთვის სავალუტე ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის

მიხედვით; წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობა, რომელიც მიიღება ტრანზაქციების განხორციელებასა და, ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, აღიარებულია „მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში“, მოგებად ან ზარალად, წლის ბოლოს არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით. არაფულადი აქტივების გადაფასება/კონვერტირება არ ხდება.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებულია საბოლოო გაცვლითი კურსი, რომელიც მოცემულია ცხრილში:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი:

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები, აღიარება და შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის საწარმოს ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები.

ეს არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ისე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

კომპანიას, თავის სააღრიცხვო პოლიტიკაში, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებასა და შეფასებას ახდენს **სრულად** მის ფას სტანდარტის მე-11 და მე-12 განყოფილების მოთხოვნების მიხედვით.

კომპანია ფლობს მსს ფასს 11.8 (ა და ბ) მუხლებით განწერილ ფინანსურ აქტივებსა და სავალდებულო ინსტრუმენტებს.

თავდაპირველად, ფინანსური აქტივი **აღიარდება** თვითღირებულებით, რომელიც არის ოპერაციის/გარიგების ფასი დანახარჯების ჩათვლით.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია **ფინანსური აქტივების** სახით აღრიცხული შემდეგი ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები:

- რეზიდენტი ბანკების საბანკო მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ფული (შენიშვნა-3);
- რეზიდენტ ბანკებში 12 თვემდე ფიქსირებულ ვადიანი დეპოზიტები (შენიშვნა-5);

დამკვეთზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულ ფასს; კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის

პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეგერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წინამდებარე ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების სახით, რომელიც წარმოადგენს მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, არის **ანგარიშ-ფაქტურაში** მითითებული ფასი.

შემდგომი შეფასება

კომპანიის სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება მისაღები ან გადასახდელი ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, მის ფასს 30-ე განყოფილების მიხედვით.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მხოლოდ მაშინ არის გადაფარული და ნეტო თანხით წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრევირდეს აღიარებული თანხები, და არის განზრახვა, წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების კრიტერიუმები

ფინანსური ანგარიშგების **ელემენტების** აღიარება არის იმ მუხლების ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებას და კრიტერიუმებს:

ა) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა ან გასვლა; და

ბ) მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება **საიმედოდ და გონივრულად შეფასდეს**.

სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები

სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ეთოპლიობა, რომელსაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს. სააღრიცხვო პოლიტიკაზე ორიენტირებულია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მეთოდები და ფორმები, რომელიც განსაზღვრულია თავად კომპანიის მიერ, მის ფასს მოთხოვნების მე-10 განყოფილების შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილება შემდგენიარად აისახება: თუ ცვლილება გამოწვეულია მის ფასს-ის ცვლილებით, მაშინ ის აისახება გარდამავალი დებულების შესაბამისად, ხოლო ნებისმიერი სხვა ცვლილება აისახება რეტროსპექტულად, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო ახალ სააღრიცხვო პოლიტიკას გამოიყენებს წინა პერიოდების შესაღარისი ინფორმაციის მიმართ, თუ ეს შესაძლებელია. ამასთან, ცვლილება განხორციელდება იმგვარად,

თითქოს ყოველთვის მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდა, და, შესაბამისი კორექტირებები განხორციელდება საკუთარი კაპიტალის ყველა იმ კომპონენტის საწყის ნაშთში, რომელმაც განიცადა ცვლილება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიხდებიან ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე - სამ თვემდე ვადით; 3-იდან 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების თანხები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში, იგი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა მოკლევადიან მოთხოვნად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება და შეფასება

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ეს ისეთი აქტივებია, რომელიც გათვალისწინებულია დაუყოვნებლივ საბითუმო გასაყიდად, იმპორტის სასაქონლო-საბაჟო დეკლარაციის შეფასებისთანავე, მარაგის დასაწყობების გარეშე, ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დოკუმენტაცია

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიღება ხდება უშუალო მწარმოებლებისგან და მისი ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიაზე ხდება ცენტრალიზებულად, ერთი დაქირავებული ტრანსპორტით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულებაში ჩართულია შეძენის დანახარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია: მიწოდების პირობა, გადახდის პირობა და ფორმა (წინასწარი/შემდგომი). სავაჭრო ფასდაკლება არ ჩაირთვება ფასეულობის თვითღირებულებაში.

ყველა შემთხვევაში, კომპანია, ერთზე მეტი სახეობის მატერიალური ფასეულობის იმპორტს განახორციელებს ერთიანი სატრანსპორტო საშუალებით. გადაზიდვის და ყველა პირდაპირი ხარჯი ნაწილდება სასაქონლო ნომენკლატურის სახეობზე მათი ფიზიკური წონის ხვედრითი წილის პროპორციულად და გადაანგარიშდება ინდივიდუალურად ფასის მიხედვით.

შეძენის დანახარჯები

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საქონლის და მომსახურების შეძენასთან და მისი დანიშნულების ადგილამდე სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ხარჯებად აღიარება

როცა მარაგი გაიყიდება, მათი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმავე პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავალი.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება, ვინაიდან სავაჭრო მოთხოვნის ვადის დარღვევის ფაქტს ადგილი არ ქონია არც ერთ საანგარიშგებო პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ვადის გადამეტება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებზე, მოხდება მოთხოვნების შეფასება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. კომპანიაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოინერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს სააღრიცხვო კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა (5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივი ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფუნქციურ ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით, კურსის ცვლილებით გამოწვეული ეფექტი - აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

კომპანიის მოგების გადასახადი გაიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და შეადგენს წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას დარიცხულ და გადახდილ თანხას. დანარჩენი საგადასახადო ხარჯი შედგება სხვადასხვა მიმდინარე გადასახადებისგან, რომლებიც გაანგარიშებულია და აღიარდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდება თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი, მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები და ბონუსები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად, ხდება აქტივის შეფასების გადამოწმება, და მისი მომსახურების ვადის გაგრძელება, თუ მისგან კვლავ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

პირობითი ვალდებულება

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები

კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა, ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა, წარსული გამოცდილების საფუძველზე, აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები, არც საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, წინამდებარე ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

შპს გალანტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (გაგრძელება)

შენიშვნა-3

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

(ლარში)	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
ფული სალაროში	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	681,976	297,888
	681,976	297,888

შენიშვნა-4

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

(ლარში)	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,231,559	2,197,568
	1,231,559	2,197,568

შენიშვნა-5

სხვა აქტივები

(ლარში)	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
დეპოზიტის თანხა	2,075,392	2,097,024
მისაღები პროცენტები	52,539	62,336
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5,459	606
	2,133,390	2,159,966

კომპანიას საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული აქვს 12 თვემდე ვადით დეპოზიტები აშშ დოლარში, მათი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 2021 წელს იყო 3.0%, ხოლო 2020 წელს შეადგენდა 3.5%-ს. კომპანია ფინანსური შემოსავლის აღიარებას ახდენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

შენიშვნა -6

ძირითადი საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
(ლარში)		
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	2,291	2,291
შესყიდვა	-	-
გასვლა	-	-
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	2,291	2,291
დაგროვილი ცვეთა		
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	2,110	2,110
2021 წლის ცვეთის ხარჯი	121	121
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	2,232	2,232
საბალანსო ღირებულება		
2020 წლის ბოლოს	181	181
2021 წლის ბოლოს	59	59

შენიშვნა-7

არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
(ლარში)		
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,178	1,178
შემოსავლა	-	-
გასვლა	-	-
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,178	1,178
დაგროვილი ამორტიზაცია		
2020 წლის ბოლოს	566	566
2021 წლის ამორტიზაციის ხარჯი	234	234
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	-	-
2021 წლის ბოლოს	800	800
საბალანსო ღირებულება		
2020 წლის ბოლოს	612	612
2021 წლის ბოლოს	378	378

შენიშვნა-8

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ლარში)	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	223,603	535,659
ვალდებულება საწარმო პერსონალის მიმართ	-	-
	223,603	535,659

შენიშვნა-9

ლარი	ამონაგები
	31.12.2021 წ.
საქონლის რეალიზაცია	5,829,652
	5,829,652

შენიშვნა-10

თვითღირებულება	
ლარი	31.12.2021 წ.
საქონლის თვითღირებულება	(4,550,619)
	(4,550,619)

შენიშვნა-11

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	
ლარი	31.12.2021 წ.
შრომის ანაზღაურება	(115,939)
ბანკის მომსახურება	(10,628)
კომუნიკაციის ხარჯები	(2,105)
ცვეთა და ამორტიზაცია	(355)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(2,992)
	(132,020)

შენიშვნა-12

ფინანსური შემოსავალი	
ლარი	31.12.2021 წ.
ბანკის დეპოზიტების პროცენტი	67,183
	67,183

შენიშვნა-13

განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები	
ლარი	31.12.2021 წ.
მოგების გადასახადი	(199,800)
	(199,800)

ფინანსური რისკების ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარ საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

ბ) საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას აღნიშნული რისკი არ აქვს, რადგან სასესო ვალდებულებები არ გააჩნია.

გ) სავალუტო რისკი და მგრძნობელობა

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

კომპანიის ძირითადი ტრანზაქციები განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში, კომპანიის საკურსო სხვაობის რისკი ძირითადად გამოწვეულია სავაჭრო ვალდებულებებით, ვინაიდან, კომპანია საქონლის შეძენას ახდენს უცხოურ ბაზარზე.

კომპანიას საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული აქვს ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში, ასევე ფულადი აქტივები 3 თვემდე და 12 თვემდე დეპოზიტების სახით; ამიტომ კომპანიის წინაშე დგას სავალუტო რისკები, როგორც უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებით, ასევე ვალდებულებებით.

რისკების მოსალოდნელი გავლენა მოცემულია დანართი 1-ის სახით - სავალუტო რისკები.

დანართი 2 -ის სახით წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც ასახავს კომპანიის მგრძნობელობას ლარის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. ეს განაკვეთი გამოიყენება მენეჯმენტის მიერ რისკების შიდა კონტროლისა და სავალუტო კურსის სხვაობის გავლენის შეფასებისთვის.

დანართი 1

სავალუტო რისკები

2021 წელი 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ექვ. ლარში	ევრო	ექვ. ლარში
------------------------	---------------	------------	------	------------

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	193,057	676,471
ბანკში განთავსებული დეპოზიტები	670,000	2,075,392	-	-
სულ ფინანსური აქტივები	670,000	2,075,392	193,057	676,471

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	-	-	63814	223603
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	63814	223603

დანართი 2

სავალუტე რისკის მგრძნობელობა

2021 წელი 31 დეკემბერი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	(+) 20%	(-) 20%	(+) 20%	(-) 20%
მოგება/ზარალი ფინანსურ აქტივებზე	415,078	(415,078)	135,294	(135,294)
მოგება/ზარალი ფინანსურ ვალდებულებებზე	-	-	-44721	44721

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტის ფლობას, ასევე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო ვალდებულება.

ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში

ფულადი ნაკადები ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლასა და გასვლას.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება, როდესაც განიხილება დანარჩენ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად, მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეაფასოს საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი ფინანსური სტრუქტურა (ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ჩათვლით) და საწარმოს შესაძლებლობა - დროულად მოახდინოს რეაგირება ფულადი სახსრების რაოდენობრივ მხარეზე, შეცვლილი ვითარებისა და პირობების შესაბამისად.

ფულადი ნაკადები უცვლელადაა კლასიფიცირებული როგორც საოპერაციო, ისე, საფინანსო საქმიანობაში, საინვესტიციო .

ტერმინები

ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე.

ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიხდება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფულადი ნაკადები ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლასა და გასვლას.

საოპერაციო საქმიანობა არის საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და ის სხვა საქმიანობა, რომელიც არ მიუკუთვნება საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის კომპონენტებს.

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შეძენა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები სახსრები.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების კომპონენტები

საწარმო წარადგენს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების კომპონენტებს და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხების შეტერებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ ეკვივალენტურ მუხლებთან.

საწარმოს არ მოეთხოვება ამგვარი შეტერების წარმოდგენა, თუ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების თანხა იდენტურია იმ თანხის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებია ანალოგიური სახელწოდებით.

პროცენტები და დივიდენდები

პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადები აისახება განცალკევებით. მათი კლასიფიცირება ხდება უცვლელად, საანგარიშგებო პერიოდიდან პერიოდამდე, როგორც, საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა.

მიღებული და გადახდილი პროცენტები, მიღებული და გადახდილი დივიდენდები, შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები, რადგან ისინი მონაწილეობენ წმინდა მოგებისა და ზარალის განსაზღვრაში; მაგრამ, ამის საპირისპიროდ, შესაძლებელია მათი კლასიფიცირება, ფინანსური საქმიანობის ნაწილში, - რადგან ისინი წარმოადგენს ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებს; კომპანიას შესაბამისი მუხლები წარმოდგენილი აქვს ფულადი ნაკადების საფინანსო საქმიანობის კატეგორიებად.

მოგების გადასახადი და ბიუჯეტში გადახდილი სხვა გადასახადები

კომპანიის მიერ, მოგებისა და ბიუჯეტში გადახდილი სხვა გადასახადები, როგორც წესი, ფულადი ნაკადების საოპერაციო საქმიანობის ნაწილში, აისახება ცალკე მუხლებად; ხოლო, განაწილებულ დივიდენდზე გადახდილი მოგების გადასახადი, და დივიდენდიდან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი, განისაზღვრება საფინანსო საქმიანობის ნაწილში, როგორც დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

სხვა განმარტებითი შენიშვნები

საწარმომ, ხელმძღვანელობის კომენტარებთან ერთად, უნდა გაამჟღავნოს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მნიშვნელოვანი ნაშთები, რომლებიც საწარმოს ეკუთვნის, მაგრამ მათი გამოყენება საწარმოს არ შეუძლია (მიზეზები: უცხოური ვალუტის გაცვლის კონტროლი, სხვა საკანონმდებლო შეზღუდვები და ა.შ.);

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდისთვის ასეთი ნაშთები არ გააჩნია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

კომპანიის ანგარიშგების საოპერაციო ნაწილი მომზადებულია პირდაპირი მეთოდით - მთლიანი შემოსული და გასული ფულადი ნაკადები მუხლების მიხედვით.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები წარმოდგენილია ლარში შემდეგი მუხლებით:

მყიდველისაგან მიღებული ფული	7,845,000
საქონლის და მომს.-ის მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(4,794,319)
ბიუჯეტში გადახდილი დანარჩენი გადასახადები	(1,066,210)
თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასი და ბონუსი	(92,300)
გადახდილი საბანკო და სხვა ხარჯები	(10,837)

საპენსიო ფონდში შენატანი (2+2)%	(1,132)
საქველმოქმედო ხარჯი	<u>(1275)</u>
	1,878,927

კომპანიის საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების კატეგორიებია:

მიღებული პროცენტები	77,802
გადახდილი დივიდენდი	(1,075,590)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი დივიდენდზე	(56,610)
გადახდილი მოგების გადასახადი განაწილებულ დივიდენდზე	(199,800)
სადეპოზიტო თანხის ცვლილება	<u>21,632</u>
	(1,232,566)

კომპანიას საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული არაფულადი ოპერაციები არ გააჩნია. კომპანიის საქმიანობაში არ ფიქსირდება ისეთი მოვლენები, რომლის შესახებ ინფორმაცია ექვემდებარება სხვა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებას.

დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

მის ფასს 33-ე განყოფილების მოთხოვნის საფუძველზე, კომპანია ამჟღავნებს შემდეგ ინფორმაციას: კომპანიისთვის, როგორც ანგარიშვალდებული საწარმოსათვის, არ არსებობს **პირი ან საწარმო**, რომელიც მიიჩნევა დაკავშირებულ მხარედ, და რომელსაც შეუძლია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალზე ზეგავლენის მოხდენა. ანგარიშვალდებული საწარმო არ შედის არცერთ სხვა საწარმოსთან ჯგუფის წევრად.

განმარტებითი შენიშვნები დამატებით აქტუალურ საკითხებზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის, 2022 წლის თებერვლის „სახელმძღვანელო მითითებები COVID-19-თან დაკავშირებით“ გათვალისწინებით, კომპანიამ ყურადღება გაამახვილა პანდემიით გამოწვეული შედეგებიდან მიღებულ, დამატებით აქტუალურზე საკითხებზე.

იმის გამოსავლენად, იმოქმედა თუ არა საწარმოზე მიმდინარე მსოფლიო კრიზისმა, და, ან რა გავლენა მოახდინა ეკონომიკურ საქმიანობაზე პანდემიის შედეგად გამოწვეულმა განგრძობით-შემდგომმა მოვლენებმა, კომპანიის მენეჯმენტმა წარმოადგინა ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი საოპერაციო მუხლების, **შესყიდული და გაყიდული საქონელი, 4 წლის** სტატისტიკური მონაცემები; იხ. **დანართი 3.**

ასევე მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილია კომპანიის სხვა მნიშვნელოვან მონაცემთა ცვლილების სტატისტიკური ანალიზი, სადაც შესადარის პერიოდად აღებულია 2 წელი, - ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო და მისი წინა პერიოდი:

=**საქმიანობის შედეგების მონაცემთა ცვლილების ანალიზი, დანართი 4.**

=**საკუთარი კაპიტალის მონაცემთა ცვლილების ანალიზი, დანართი 5;**

=**ფინანსური მდგომარეობის მუხლების ცვლილებების ანალიზი, დანართი 6.**

დანართი 3

შესყიდვების და გაყიდვების 4 წლის მონაცემების სტატისტიკა

პერიოდი	2018	2019	2020	2021
შესყიდვა				
(იმპორტი) შესყიდული საქონლის საბაჟო ღირ. (ლარი)	4397960	4903780	5310220	4516452
იმპორტირებული საქონლის რაოდ. (ცალი)	3350225	3173194	2806628	2112041
იმპორტზე დარიცხული დღგ	793459	872493	958621	814278
იმპორტზე დარიცხული ბაჟი	14474	16959	10710	7313
პერიოდი	2018	2019	2020	2021
რეალიზაცია				
გაყიდული საქონლის ღირ. დღგ-ის ჩათვლით (ლარი)	6710747	7111961	7672818	6878991
გაყიდული საქონლის რაოდ. (ცალი)	3350225	3173194	2806628	2112041
გაყიდულზე დარიცხული დღგ (ლარი)	1023380	1070300	1170430	1049338

დანართი 4

საქმიანობის შედეგების მონაცემთა ცვლილების ანალიზი

მოგება ზარალის მუხლები	საანგ. პერიოდი	შესადარისი პერიოდი	ცვლილების რაოდენობა (ლარი)	ცვლილების ხარისხი (%-ული მაჩვ.)
(ლარში)	2021	2020	2021	2021
ამონაგები	5,829,652	6,502,389	(672,737)	-10.35
თვითღირებულება	(4,550,619)	(5,320,579)	769,960	-14.47
საერთო მოგება	1,279,033	1,181,810	97,223	8.23
სხვა შემოსავლები	3,675	2,966	709	23.92
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(132,020)	(134,255)	2,236	-1.67
საოპერაციო მოგება	1,150,689	1,050,521	100,168	9.54
ფინანსური შემოსავალი	67,183	81,371	(14,188)	-17.44
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	(206,072)	397,485	(603,557)	-151.84
მოგება დაბეგვრამდე	1,011,800	1,529,377	(517,577)	-33.84
მოგების გადასახადი	(199,800)	(265,026)	65,226	-24.61
წმინდა მოგება	812,000	1,264,351	(452,351)	-35.78
მთლიანი სრული შემოსავალი	812,000	1,264,351	(452,351)	-35.78

აღსანიშნავია, რომ, 2021 წელს შემოსავლის შემცირების გამო, ხელმძღვანელობამ მიიღო წინდახედული და გონივრული გადაწყვეტილება, შეემცირებინა განაწილებული დივიდენდი.

დანართი 5

საკუთარი კაპიტალის მონაცემთა ცვლილების ანალიზი:

საკუთარი კაპიტალის ცვლილების მუხლი	საანგ. პერიოდი	შესადარისი პერიოდი	ცვლილების რაოდენობა (ლარი)	ცვლილების ხარისხი (%-ული მაჩვ.)
(ლარში)	2021	2020	2021	2021
გაცემული დივიდენდი	1132200	1501813	-369613	-24.61

დანართი 6

ფინანსური მდგომარეობის მუხლების ცვლილებების ანალიზი

საბალანსო მუხლები	საანგ. პერიოდი	შესადარისი პერიოდი	ცვლილების რაოდენობა (ლარი)	ცვლილების ხარისხი (%-ული მაჩვ.)
(ლარში)	2021	2020	2021	2021
ფული საბანკო ანგარიშებზე	681,976	297,888	384088	128.94
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,231,559	2,197,568	-966009	-43.96
დებოზიტის თანხა	2,075,392	2,097,024	-21632	-1.03
მისაღები პროცენტები	52,539	62,336	-9798	-15.72
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5,458	606	4852	800.91
სულ სხვა აქტივების ჯამი	2,133,389	2,159,966	-26577	-1.23
სულ მიმდინარე აქტივები	4046925	4656604	-609679	-13.09
სულ აქტივები	4047362	4657397	-610035	-13.10
სულ ვალდებ.	245824	535659	-289835	-54.11
პერიოდის გაუნან. მოგება	3,801,238	4121438	-320200	-7.77
სულ კაპიტალი	3,801,538	4121738	-320200	-7.77

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდიდან მის გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე, იგრძნობა პანდემიით გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავებისა და ეკონომიკური საქმიანობის აღდგენითი პროცესი, რომლის ანალიზისთვის წარვადგენთ ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი საოპერაციო მუხლების, შესყიდული და გაყიდული საქონელი, სტატისტიკურ მონაცემებს, 2022 წლის 8 თვე და 2021 წლის შესაბამისი პერიოდი, იხილეთ დანართი 7.

დანართი 7.

შესყიდვების და გაყიდვების 8 თვის მონაცემების სტატისტიკა

პერიოდი 8 თვე	2021.01.01. - 2021.31.08.	2022.01.01. - 2022.31.08.
შესყიდვა		
(იმპორტი) შესყიდული საქონლის საბაჟო ღირ. (ლარი)	3022933	2936918
იმპორტირებული საქონლის რაოდ. (ცალი)	1340670	1430417
იმპორტზე დარიცხული დღგ	544943	530599
იმპორტზე დარიცხული ბაჟი	4526	3648
რეალიზაცია		
გაყიდული საქონლის ღირ. დღგ-ის ჩათვლით (ლარი)	4477149	4990879
გაყიდული საქონლის რაოდ. (ცალი)	1340670	1430417
გაყიდულზე დარიცხული დღგ (ლარი)	682956	761321

აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიის გავლენა არ ასახულა კომპანიის სააღრიცხვო შეფასებებზე, აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებასა და კანონით განსაზღვრული სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების მომზადება-წარდგენაზე, რაც მიღწეულ იქნა განისაზღვრა საწარმოს ხელმძღვანელობის გონივრული მიდგომით, დროული რეაგირებით და მენეჯმენტისათვის პრაქტიკული ხელშეწყობით; ასევე, ადგილი არ ქონია აქტივების გაუფასურებას. თუმცა, პანდემიით გამოწვეული გარემოებების გავლენა მომავალ პერიოდზე, და ფინანსური ეფექტის წინასწარ სრულყოფილად შეფასება შეუძლებელია, მაგრამ, ფაქტია, რომ, კომპანია ფუნქციონირებადი სტატუსით აგრძელებს საქმიანობას ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ადგილი ჰქონდა მხოლოდ არამაკორექტირებელ მოვლენას, კერძოდ:

2022 წ. თებერვალში მოხდა დივიდენდის გამოცხადება და განაწილება 315,860 ლარის ოდენობით. მოგების გადასახადმა განაწილებულ დივიდენდზე შეადგინა 55,740 ლარი, რაც დაკვალიფიცირდა საგადასახადო ვალდებულებად მოგების გადასახადის ნაწილში, რომელიც დაიფარა ამავე პერიოდში. ვინაიდან ეს მოვლენები მოხდა 2022 წელს, შესაბამისად, იგი აისახება სრულად შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება და გამოცემის ნებართვის გაცემა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება, მისი გამოცემის შემდეგ, აქვს მხოლოდ მესაკუთრეს (მს ფასს 32.9 პუნქტი).

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 26 სექტემბერს.

შპს გალანტი

დირექტორი : ნიზამ მამედოვი _____

დანართი 7.

შესყიდვების და გაყიდვების 8 თვის მონაცემების სტატისტიკა

პერიოდი 8 თვე	2021.01.01. - 2021.31.08.	2022.01.01. - 2022.31.08.
შესყიდვა		
(იმპორტი) შესყიდული საქონლის საბაჟო ღირ. (ლარი)	3022933	2936918
იმპორტირებული საქონლის რაოდ. (ცალი)	1340670	1430417
იმპორტზე დარიცხული დღგ	544943	530599
იმპორტზე დარიცხული ბაჟი	4526	3648
რეალიზაცია		
გაყიდული საქონლის ღირ. დღგ-ის ჩათვლით (ლარი)	4477149	4990879
გაყიდული საქონლის რაოდ. (ცალი)	1340670	1430417
გაყიდულზე დარიცხული დღგ (ლარი)	682956	761321

აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიის გავლენა არ ასახულა კომპანიის სააღრიცხვო შეფასებებზე, აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებასა და კანონით განსაზღვრული სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების მომზადება-წარდგენაზე, რაც მიღწეულ იქნა განისაზღვრა საწარმოს ხელმძღვანელობის გონივრული მიდგომით, დროული რეაგირებით და მენეჯმენტისათვის პრაქტიკული ხელშეწყობით; ასევე, ადგილი არ ქონია აქტივების გაუფასურებას. თუმცა, პანდემიით გამოწვეული გარემოებების გავლენა მომავალ პერიოდზე, და ფინანსური ეფექტის წინასწარ სრულყოფილად შეფასება შეუძლებელია, მაგრამ, ფაქტია, რომ, კომპანია ფუნქციონირებადი სტატუსით აგრძელებს საქმიანობას ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ადგილი ჰქონდა მხოლოდ არამაკორექტირებელ მოვლენას, კერძოდ:

2022 წ. თებერვალში მოხდა დივიდენდის გამოცხადება და განაწილება 315,860 ლარის ოდენობით. მოგების გადასახადმა განაწილებულ დივიდენდზე შეადგინა 55,740 ლარი, რაც დაკვალიფიცირდა საგადასახადო ვალდებულებად მოგების გადასახადის ნაწილში, რომელიც დაიფარა ამავე პერიოდში. ვინაიდან ეს მოვლენები მოხდა 2022 წელს, შესაბამისად, იგი აისახება სრულად შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება და გამოცემის ნებართვის გაცემა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება, მისი გამოცემის შემდეგ, აქვს მხოლოდ მესაკუთრეს (მსს ფასს 32.9 პუნქტი).

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 26 სექტემბერს.

შპს გალანტი

დირექტორი: ნიზამ მამედოვი


